სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/06

(ოქმი N5)

15 აპრილი 2016წ

ქ. ბათუმი

**სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის და მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის $35^4$ მუხლისმესამე პუნქტის თანახმად:

1. ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონში 2016 წლის 07 მარტს განხორციელებული ცვლილების თანახმადმიმდინარე 2016 წლის განმავლობაში სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოსათვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ოდენობა განისაზღვრა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს ბიუჯეტის 3%-ის ფარგლებში, რაც შეადგენს 180285 ლარს. ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის $35^4$ მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 2%-ს, შესაბამისად სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 120191 ლარს.

2. განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა ჰონორარის ოდენობა და დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.

3. განისაზღვროს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს აპარატის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობა და დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 22 იანვრის N01-01/01 გადაწყვეტილება (ოქმი N1) სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''.

6. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2016 წლის 15 აპრილიდან.

დანართი: 2 ფურცელი.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

ზაზა ხალვაში

დანართი 1

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს წევრთა (მრჩევლები) ჰონორარის ოდენობა

| N | პოზიცია | რ-ბა | ჰონორარი | სულ თვეში |
|---|---|---|---|---|
| 1 | მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე | 1 | 2400 | 2400 |
| 2 | მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე | 1 | 2300 | 2300 |
| 3 | მრჩეველი | 3 | 2200 | 6600 |
| | ჯამი | | | 11300 |

დანართი 2

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოსაპარატის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობა

| N | პოზიცია | რ-ბა | თანხა | სულ თვეში |
|---|---|---|---|---|
| 1 | მრჩეველთა საბჭოს აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საქმისწარმოების სპეციალისტი | 1 | 1900 | 1900 |
| 2 | მრჩეველთა საბჭოს აპარატის მდივანი | 1 | 500 | 500 |
| | ჯამი | | | 2400 |